მიხეილ სააკაშვილი ილჰამ ალიევს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ილჰამ ალიევს აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს. მისალოც წერილს მიხეილ სააკაშვილი Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.

„თქვენო აღმატებულებავ, ძვირფასო მეგობარო,

მიიღეთ ჩემი გულწრფელი და გულითადი მილოცვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ისტორიულ და დამსახურებულ გამარჯვებასთან დაკავშირებით. თქვენი არჩევა მოწმობს აზერბაიჯანელი ხალხის მაღალი ხარისხის ნდობას და წარმოადგენს დაუღალავი შრომის შედეგს თქვენი ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. ეს გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისთვის, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის და გარდამტეხი ფაქტორია მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა და სტრატეგიული

1 / 2

მიხეილ სააკაშვილი ილჰამ ალიევს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს

პარტნიორობა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის კვლავაც ნაყოფიერად განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას და კიდევ ერთხელ გილოცავთ ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საპასუხუსმგებლო საქმიანობაში, ხოლო მოძმე აზერბაიჯანის ხალხს - ბედნიერებასა და კეთილდღეობას“ , - აღნიშნულია წერილში.